პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

EU4Business ინიციატივა (III ფაზა)



განხორციელების ვადა: 03.05.2023 - 02.05.2027

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 3 094 052

მთლიანი ბიუჯეტი: € 3 094 052

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

GOPA

პროექტის ვებსაიტები: eu4business.eu

პროექტის აღწერა:

EU4Business ინიციატივა ხელს უწყობს ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის (EIP) განხორციელებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და ამის საფუძველზე — მდგრად და სამართლიან ეკონომიკურ ზრდას რეგიონში. პროგრამა უზრუნველყოფს ევროკავშირის კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერის ყველა პროექტის რეგულარულ და საფუძვლიან მონიტორინგს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში; ის შეაფასებს ინიციატივის EU4Business რეგიონული და ორმხრივი პროექტების გავლენას და შედეგებს; და მაქსიმალურად გაზრდის ევროკავშირის მხარდაჭერის მასშტაბს და ცნობადობას.

მოსალოდნელი შედეგები:

1. რეგულარული ანალიტიკური ანგარიშების გამოქვეყნება კერძო სექტორის ორმხრივი და რეგიონული დახმარების პროექტების/პროგრამების და მათი გავლენის შესახებ (ანგარიშები ასევე მოიცავს ახლახან დაწყებული EFSD/EFSD+ გარანტიებითა და შერწყმული პროექტებით მხარდაჭერილ ოპერაციებს).
2. გაუმჯობესებული კომუნიკაცია და წვდომა პოტენციურ ბენეფიციარებთან იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროგრამების გავლენა, განსაკუთრებით ყველაზე დაუცველ და ნაკლებად უზრუნველყოფილ ჯგუფებზე.
3. აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში კერძო სექტორისა და EU4Business ბრენდის მხარდაჭერის მთავარი აქტორის — ევროკავშირის გაუმჯობესებული იმიჯი, როგორც ზოგადად, ისე კერძოდ - მცირე და საშუალო საწარმოებში და პარტნიორ მთავრობებში. EU4business ინიციატივის და მისი ძირითადი პროექტების გაუმჯობესებული ცნობადობა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ბიზნეს-წრეებში.
4. რეგიონში ევროკავშირის მხარდაჭერით შემუშავებული ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიების განხორციელების მხარდაჭერა.